უმაღლესი ლიგა

2 და 3 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, 23-ე ტურის მატჩები.

''დინამო'' (თბილისი) _ ცსკა 1:0 (0:0)

თბილისი ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს'' სტადიონი. 2 სექტემბერი

„დინამო'': გაბელია, ცვეიბა, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კორღალიძე, სვანაძე, სულაქველიძე, კაკილაშვილი (ხაგბა, 58), გურული (ჟვანია, 72), შენგელია.

ცსკა: ნოვიკოვის, კუზნეცოვი, მალიუკოვი, კოლოტოვკინი, ფოკინი, აფანასიევი, სავჩენკო, კოლესნიკოვი (ჰუსეინოვი, 58), მედვედი, ტატარჩუკი, მასალატინი.

მსაჯი ა. ხოხრიაკოვი (იოშკაროლა).

გააფრთხილეს მასალატინი.

დუბლიორები _ 2:2

ვინ მოთვლის თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე რამდენი საპასუხისმგებლო თამაში ჰქონია თბილისის „დინამოს''. ომამდელ და შემდგომ წლებშიც ეს იყო სსრ კავშირის ფინალები, ბასკონიის ნაკრებთან შეხვედრები, კონკრეტული მატჩები სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებისთვის, დიუსელდორფის ფინალური თამაში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე და მრავალი, მრავალი სხვა.

მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ 2 სექტემბრის მატჩიც ცსკა-თან. სატურნირო მდგომარეობა, რომელიც 23-ე ტურისთვის შეიქმნა, ფეხბურთის მოყვარულმა კარგად იცის, ორივე მეტოქე ცხრილის ბოლოში იმყოფებოდა, გამარჯვება ორივე მათგანს ესაჭიროებოდა როგორც ჰაერი. თუ არმიელები გაიმარჯვებდნენ, მათ უკვე 20 ქულა ექნებოდათ და თბილისელებს წარმოუდგენლად გაუჭირდებოდა მათი დაწევა. 5-ქულიანი ჰანდიკაპის დაძლევა ჩემპიონატის ფინიშზე რთულზე ურთულესი საქმეა. მაგრამ თუ მატჩს თბილისელები მოიგებდნენ, ისინი მჭიდროდ უახლოვდებოდნენ არმიელებს და მათი მეტოქეობაც არსებითად თავიდან იწყებოდა.

ახლა ლაპარაკია მხოლოდ ერთზე _ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე! ყოველ კონკრეტულად დარჩენილ მატჩში საჭიროა არნახული მონდომებისა და მობილიზაციის გამოვლენა, ასეთ მატჩებში, ყველამ კარგად იცის, მოგება ფაქტიურად ნიშნავს არა 2, არამედ 4 ქულას.

თბილისელებმაც და არმიელებმაც, შესაბამისად ამისა, ამ დღეს სწორედ ამ 4 ქულისთვის იბრძოლეს. ძნელია ახლა ლაპარაკი იმაზე თუ რა მომზადება და თამაშის რა კლასი გამოავლინეს მასპინძლებმაც და სტუმრებმაც, რაც შეეხება თავგამოდებას, ბრძოლისუნარიანობას და ნამდვილ სპორტულ შემართებას, აქ კი ცდა არც დინამოელებს დაუკლიათ, არც არმიელებს. საერთო განწყობილება, ნერვული ატმოსფერო ისეთი დიდი იყო, რომ ძნელია ფეხბურთელებს დააყვედრო ხშირი შეცდომები და ლაფსუსები, მაგრამ მატჩი სანახაობრივად მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

პირველი 15 წუთი დინამოელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. მათ მაშინვე თავს მოახვიეს მეტოქეს სწრაფი ტემპი, ენერგიული შეტევები და ეს პერიოდი თითქმის მთლიანად არმიელთა ნახევარზე გაატარეს, სადაც დაცვით ხაზებს და მეკარე ნოვიკოვს უმძიმესი სამუშაო დააწვათ. შემდგომში კოლესნიკოვმა, ტატარჩუკმა და მასალიტინმა რამდენიმე კონტრიერიში განახორციელეს, მათ ნახევარმცველებიც წამოეხმარნენ და შუა ტაიმიდან მოყოლებული თამაში გათანაბრდა. დინამოელებს უკვე აღარ ჰქონდათ ადრინდელი უპირატესობა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კვლავ შეუტიეს, ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ შენგელიას, კორღალიძეს, გურულს, მაგრამ ასეთივე შესაძლებლობები მიეცათ ტატარჩუკს, მასალიტინს. ურთიერთშეტევებში დრო გადიოდა, რა თქმა უნდა, არმიელებს ფრეც ხელს აძლევდა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს, დინამოელები ვერ დასძლევდნენ სტუმრების წინააღმდეგობას, თითქოს, ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მატჩი მხოლოდ ერთ ქულას მოგვიტანდა, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა. თბილისის ‘‘დინამოს’’ გამარჯვება მოუტანა სოსო ჭედიამ, რომელმაც 77-ე წუთზე შორი მანძილიდან ზუსტად „ჩააჭედა’’ ბურთი გამოცდილ მეკარე ნოვიკოვის კარში. არმიელთათვის ამ საბედისწერო მომენტში მცველები არ მოელოდნენ ჭედია რომ კარში დაარტყამდა, ეტყობა, ყურადღება შეანელა ნოვიკოვმაც, თბილისელმა ფეხბურთელმა კი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ჩინებულად გააკეთა თავისი საქმე.

მატჩი მოვიგეთ, 2 ქულა შევძინეთ ჩვენს ღარიბ აქტივს. დინამოელებს ბევრს ვერაფერს ვუსაყვედურებთ, რადგან ისინი იბრძოდნენ თავგამოდებით, ენერგიულად, გუნდი ჩვენთან, ე.ი. გულშემატკივრებთან ერთად, კარგად გრძნობს შექმნილი მდგომარეობის სირთულეს და ორი ქულის აღების აუცილებლობას. რახან ისე შეგვექმნა საქმე, რომ თბილისის „დინამო’’ დაბალ ლიგაში ჩამოქვეითების ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია და ადგილის შენარჩუნების მეტი საზრუნავი აღარა დაგვრჩენია, ჩემპიონატის დამთავრებამდე დარჩენილ რთულ პერიოდში ყველამ ერთგულად უნდა გასწიოს თავისი ჭაპანი: „დინამოს’’ ხელმძღვანელობამ მაქსიმალურ მობილიზაციაში იყოლიოს გუნდი, თვით ფეხბურთელებმა ითამაშონ ისე, როგორც, თუნდაც, 2 სექტემბერს ითამაშეს, ხოლო ჩვენ _ გულშემატკივრებმა, ჟურნალისტებმა, კომენტატორებმა, სპეციალისტებმა ყოველნაირად ხელი შევუწყოთ კოლექტივს, რათა გუნდმა შეინარჩუნოს ის პოზიციები, რომელზეც ასე მტკიცედ იდგა ამ 50 წლის მანძილზე. ყოველგვარმა უკმაყოფილებამ, ლანძღვამ, პრეტენზიებმა, მწვავე კრიტიკულმა გამოსვლებმა ახლა ადგილი უნდა დაუთმოს ერთ მთავარს: მხარდაჭერას, რომელიც ამჟამად ესოდენ სჭირდება საქართველოს უპირველეს გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ყველამ კარგად ვიცით მდგომარეობა რომ უკიდურესად დაძაბულია, ეს კარგად იციან თვით დინამოელებმაც და არა გვგონია რომელიმე მათგანმა წამით მაინც მოადუნოს ნებისყოფა და მობილიზება მინდორზე.

ჩვენი აზრით, ახლა, როგორც არასდროს, ჩვენს გუნდს მხარდაჭერა, თანადგომა და გამხნევება ესაჭიროება. ვფიქრობთ, ასე უნდა მოვიქცეთ, ეს თავის ნაყოფს გამოიღებს.

“ლელო”, 5 სექტემბერი, 1987 წ.